



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92. 922306618

თარიღი:07/03/2023

"ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ზეპირი მოსმენის გამმართველი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 19 ნოემბრის №92.92213231 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე" პუნქტის,,ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება "ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ზეპირი მოსმენის გამმართველი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 19 ნოემბრის №92.92213231 ბრძანებაში" კერძოდ: ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 1. შეიქმნას ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ზეპირი მოსმენის გამმართველი მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

- ნინო ბატიაშვილი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

კომისიის წევრები:

- თამარი წიქარიშვილი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების, III რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში;
- გიორგი მანგოშვილი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, საფინანსო სამსახურის უფროსი.
- ხათუნა ლაშხი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების, უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- ნიკა ბალაშვილი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტი."

მუხლი 2. ბრძანების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელად.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. N24

ჯონდო მდიენიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერო

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

